

მუნიციპალური განვითარების ფონდი
აზიის განვითარების ბანკი (აგზ)

სესხი N 2655 - GEO: საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა
(პირველი ტრანში)

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა ადგილობრივი შესყიდვების სპეციალისტის დასაქირავებლად
Ref. No: SUTIP1-IC-19-2017

პროექტი ფინანსდება საქართველოს მთავრობისა (სმ) და აზიის განვითარების ბანკის მიერ.
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) წარმოადგენს პროექტის
განმახორციელებელ ორგანიზაციას

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკიდან მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (SUTIP) პირველი ტრანშის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილით მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) დააფინანსებს ადგილობრივი შესყიდვების სპეციალისტს (შემდგომში „კონსულტანტი“), რომლის ძირითადი მიზანი იქნება, მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (ფიზიკური სამუშაოები, საკონსულტაციო მომსახურება) განხილვა და მომზადება. დეტალები მოცემულია სამუშაოთა აღწერილობაში, ქვემოთ მოცემულ ბმულზე.

კონტრაქტის ხანგრძლივობა იქნება 15 თვე, სრული განაკვეთით.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის 2017 წლის 31 მაისი 17:00 საათი.

დაინტერესებულმა პირებმა ინტერესი უნდა გამოხატონ და პირადი მონაცემები ატვირთონ აგზ-ს „კონსულტანტთა მართვის სისტემაში“ (Consultant Management System), შემდეგ მისამართზე:

https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_HOME_PAGE